

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან პრინციპული კავშირისა და საკრძოლველ კომიტეტისა და პროლეტარიატის საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 177
(4171)

1970 წ.

სამხარეთი.
მთავრად.
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1984 წლის
18 აპრილიდან

ლონდონი, 7 სექტემბერი.
მძლეოსანთა აქ გამართულ სა-
ერთაშორისო ასპარეზობაში
ში მსოფლიო რეკორდი დამუ-
რდა. ინგლისელი ჯ. ჯექსონმა
80 კმ 1 საათში, 81 წუთსა და
80,4 წამში გაიბრძინა. ქალთა
ესტაფეტაში 4x800 მეტრზე
დიდი ბრიტანეთის ნაკრები
8.25,0 აჩვენა, კენიელ ვაუთი
კვარტეტმა კი 4x880 იარღვე
ესტაფეტაში — 7.11,8.

პირველი მსოფლიო რეკორდი

ბარსელონა, 7 სექტემბერი.
ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი და მე-
ხუთე თამაშების პრიზიორი ბრასით
ცურვაში გ. სტეპანოვა კვლავ ვერო-
პის ჩემპიონია, მაგრამ არა 200-მეტ-
რიან დისტანციაზე, როგორც 4 წლის
წინ უტრეხტში, არამედ 100 მეტრზე ას-
პარეზობაში. ამჯერად მოსკოველი სპორ-
ტსმენის შედეგია 1.15,6. წინაა სტა-
რტი სტეპანოვას ძირითად დისტან-
ციაზე.
მოსკოველი ა. გრებენიკოვა და უ-
ფრომატერი (გფრ) ფინიშთან ერთნა-
ირი შედეგით (1.16,9) მივიდნენ, მა-
გრამ საბჭოთა სპორტსმენი აუზის კე-
დელს ოდნავ გვიან შეეხო და ბრინჯაო-
ს მედალი ერგო.
დღეს ჩემპიონატში პირველი მსოფ-
ლიო რეკორდი დაამყარა შვედმა გ.
ლარსონმა, რომელმაც 400 მ თავისუ-
ფალი სტილით 4 წუთსა და 2,6 წამ-
ში დაფარა. მან 0,2 წამით გააუმჯო-
ბესა ჯ. კინსელის (აშშ) მიერ სამი
კვირის წინ დამყარებული მსოფლიო
რეკორდი.

ფინიშთან მეორე მიცურდა ვერობის
ექს-რეკორდსმენი პ. ფასნატი (გფრ)
— 4.03,0. მესამე იყო ს. ესტევა (ეს-
პანეთი) — 4.08,3.
100 მეტრზე თავისუფალი სტილით
ქალთა ცურვაში გაიმარჯვა გ. ვეკსომ
(გდრ), რომელმაც თავისივე ვერობული
რეკორდი გაიმეორა — 59,6. ვერცხლის
მედალი მოიპოვა მ. შვერტმა (იუგოს-
ლავია), ბრინჯაოსი — ა. ჯექსონმა
(დიდი ბრიტანეთი). ორივეს ერთნაირი
შედეგი აქვს — 1.00,8. ნოვოსიბირს-
კელი ტ. ზოლოტნიცკაია VIII ადგი-
ლზეა — 1.02,6.
100 მეტრზე ბატერფლაით ცურვა-
ში გაიმარჯვა პ. ლამპე (გფრ) —
57,5. ეს ვერობის ახალი რეკორდია.
II ადგილზეა უ. პოსერი (გდრ) —
57,9, III — სოქელი გ. ნემშილოვი —
58,0.
სურათზე: მსოფლიო რეკორდსმენი, მოსკოველი ნ. პანკინი, რომელმაც ყველას აჩოხა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში.



ბალტიკის გაკვეთილი

რიბა, 7 სექტემბერი. მას ასე,
სსრკ კავშირის XXX პირველობა აფ-
როსანობაში დამთავრდა. ხუთი ჩემპიონ-
იდან მხოლოდ ვ. ლიონტიევის პატი-
ვსაცემად გაისმა ქვემეხის ტრადიციუ-
ლი გუგუნი. ლიონტიევი შეიძლება რბო-
ლაში მონაწილეობდა. „მფრინავი პო-
ლანდიელის“ კლასში მან გამარჯვება
შეჯიბრების ფინიშამდე ერთი დღით
ადრე მოიპოვა. დანარჩენი აფროსნები
ექვს სტარტს დასჯერდნენ. პირველო-
ბის ბოლო დღეს ძლიერი ქარის გამო
ნაგები ყურეში არ ჩაუშვიათ.


მონაწილეობას მიიღეს 8 უძლიერესი
ეკიპაჟი თითოეული კლასიდან. ზამთარ-
ში ღია ჩემპიონატები ჩატარდება სა-
ქართველოსა და სევასტოპოლში.
რაც შეეხება ახალ ოლიმპიურ კლას-
ებს „ტემპესტას“ და „სოლინს“,
— თქვა ლაგრეზმა, — რომლებშიც
ოლიმპიურმა ჩემპიონებმა გ. მანკინმა

და თ. პინგინმა აშკარა უპირატესო-
ბა გამოავლინეს, თუ კარგი მატერია-
ლური ბაზა გვექნება, კარგ შედეგებსაც
მოვიპოვებთ არა მარტო ისეთ საჩვენე-
ბელ რბოლაში, როგორც რიგის ყურე-
ში ჩატარდა. სხვათა შორის, უახლოეს
სანებში მანკინს მსოფლიო პირველო-
ბაში ელის სტარტი.

გათი ოცნების ქალიშვილი

ბარსელონის „ბერნარდო პიკონელი“ ცისფერი ბილიკების ჯა-
დოქართა სახლში ტყვეობაშია. მზის, ეგვიპტიისა და სილამაზის
მოყვარული ესპანელი მოწონებით იხიან თავს ქართლიან და შავე-
რემან გოგონათა წინაშე. ასეთია რანდოა წესი, სიმპათიის გამოსახვის
თავისებური ფორმა. ყველას მყავს თავისი ოცნების ქალიშვილი, რომელსაც
ფარული სიბოთი და სიყვარულით ეძღვრება.
ვეროპის მოცურავეთა ფორუმში პოპულარობის მოხვეჭას, როგორც
ჩანს, არ სჭირდება განსაკუთრებული რეფერენდუმი. პოპულარობის
ყველაზე ნაღდი საშუალება ესპანელ გულშემატკივართა ცხელი გულგებ-
რობებზე ამჯერად მოკრძალებული ქართული ქალიშვილის თინათინ
ლეკვიშვილისადმი სიმპათიით ფეოქავენ.
თინათინი ძალიან მკაცრ თვალბერბიალს ესპანელ გოგონას. ეს უკვე
დიდი ფორა ვერობის ახალი ჩემპიონისა და რეკორდსმენის სახარებებ-
ლოდ. თინათინი მუდამ თავიანთსმცემელთა გარემოცვაშია, ზრუნვისა და
ყურადღების ცენტრში, მისი გულის მოგებას ცდილობენ ესპანური სე-
რენადის ვარსკვლავებიც და კორილის დიდოსტატებიც — ყველაზე პო-
პულარული და პატივცემული ხალხი პენინებზე.
თინათინი კი მორცხვი გოგონაა. მას უყვარს სერენადაც, აინტერე-
სებს კორიდაც, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაშია ასეთი დიდი პოპუ-
ლარობის გამო. და როცა გულისმთქმელთაგან დამალვას ლამობს, თავის
საყვარელ სტიქიას — წყალს მიმართავს. აქ იგი ერთადერთია და
განუშვრებელი.
... ესპანური პრესა ფართოდ გამოეხმაურა თ. ლეკვიშვილის გამარჯ-
ვებას. ერთ-ერთმა გაზეთმა პირდაპირ ასე დაწერა: „ქართველმა გოგონამ
დაატყვევა ესპანეთის საუკეთესო ტორედორების გულგებნი“. მეორე გა-
ზეთი სწორედ ესპანელ ქალიშვილთან თინათინის საოცარ მსგავსებას
უსვამს ხაზს. და ყველა ერთნაირად განსაკუთრებით აღნიშნავს თბილისელი
სპორტსმენის საოცარ რიღსა და მოკრძალებას...
მ. ზარგარიანის ფოტო.

— ბალტიკა კარგი ამინდით არ
გვანებებდა, — უთხრა საკდესის
კორესპონდენტს ქვეყნის ნაკრები გუნ-
დის მწვრთნელმა, სსრკ კავშირის დამ-
სახურებელმა მწვრთნელმა ი. ლაგრე-
ზმა, — მაგრამ სწორედ ასეთ ამინდში
სჯობს წინაოლიმპიური რეპეტიციის
ჩატარება. რიგის ყურეში თითქმის
იგივე პირობებიც არსებობდა და სა-
ნავეგაციო პირობებია, როგორც 1972
წლის ოლიმპიური თამაშებზე დროს
იქნება კილის ყურეში.
ჩემპიონატით კმაყოფილი ვართ,
რადგან უმძიმეს პირობებში შემოწმდა
სპორტსმენთა ტემპერატი ოსტატობა
და საბრძოლო თვისებები. გავსაზარა
მოსკოველი ლიონტიევის ასალაზარდუ-
ლმა ეკიპაჟმა, რომელმაც წლეულს შე-
დისე მეორედ მოიპოვა დამაჯერებელი
გამარჯვება.
კარგი შთაბეჭდილება დატოვა არს-
ნაგელსკელმა ი. ანისიმოვმა („ურჩისუ-
ლის“ კლასი). ნაკრების ძველმა წევრ-
მა, ვერობის ექს-ჩემპიონმა პირველად
შედეგა ფეხი საპატიო კვარტეტის
უმაღლეს საფენურზე სსრკ კავშირში.
„ვარსკვლავის“ კლასში ერთი რბო-
ლა გარდა ყველა მოიგო მოსკოველმა
ბ. ბუდნიკოვმა. ბალტიკის ტორედორ-
ობას კარგად გაუმკლავდნენ დანარჩენი
წლეულები ჩემპიონებიც: მოსკოველი
ბ. პოტაპოვი „ფინის“ კლასში და გ.
ჩუმაკოვი კატამარანი.



ამ ზამთარს მეტევეთა კოლმეურნობა „ცარნიკის“ (ლატივის
სსრ) ნაგების ექსპერიმენტულმა საამქრომ დაამზადა საკრედიტო კატა-
მარანი „გაუია“. ნავი დამზადდა რაგელის სპორტის ოსტატის ა. ეგლაისის
პროექტის მიხედვით. ეს საბჭოთა კავშირში პირველი სერიული ორკორ-
პუსიანი ნავია შორეული ზღვაოსნობისთვის. ივნისში კატამარანი წარმა-
ტებით ჩააბარა 10-დღიანი გამოცდა მარშრუტით რიგა—ლენინგრადი—
რიგა. ეგლაისთან ერთად ცურვაში მონაწილეობდნენ კატამარანში მონებ-
ლობის გამოჩენილი საბჭოთა თეორეტიკოსი, ლენინგრადელი სწავლული
ი. კრიუჩკოვი და კოლმეურნობა „ცარნიკის“ ექსპერიმენტული საამ-
ქროს მუშაკები.
პირველი გამოცდა „გაუიამ“ წარმატებით ჩააბარა. კონსტრუქციისა
არაფრის შეცვლა არ გახდა საჭირო. მაქსიმალური სიჩქარე, რომელსაც
ზოგჯერ კატამარანი აწვითარებდა, 18 კვანძს უდრდა.
ივლისის შუა რიცხვებში წყალში ჩაუშვეს მეორე ასეთივე კატამარა-
ნი. „გაუიასთან“ ერთად მან წარმატებით აიღო სტარტი სსრ კავშირის
საკრედიტო ნაგების შეჯიბრებაში, რომელიც ესტონეთში ჩატარდა.
კოლმეურნობა „ცარნიკის“ ექსპერიმენტულმა საამქრომ უკვე
20-ზე მეტი შეკვეთა მიიღო სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან საკრე-
დიტო კატამარანებზე.
სურათზე: კატამარანი „გაუია“
გ. ულანევიჩის ტექსტი და ფოტო. (ახალი ამბების სააგენტო).

„შავი ზღვის თასი“
როგორც პოლონური გაზეთი
„სპორტის“ (კატოვიცი) კო-
რესპონდენტი ციურბილიან იუწყე-
ბა, ფიფა-ს სამდივნომ მოიწონა
ახალი საერთაშორისო ტურნირის
პროექტი, რომელსაც „შავი ზღვის
თასი“ ეწოდება. მის პირველ გა-
თამაშებაში მონაწილეობას მიიღე-
ბენ ოდესის „ჩერნომორცი“, სტა-
მბულის „ფენერბაჩი“ (თურქეთი),
ვარნას „ჩერნო მორე“ (ბულგარე-
თი) და კონსტანტის „ფარული“
(რუმინეთი).

საქართველო სსრკ-ის კლასიკური კლასიკის 1969-1972 წლებით

წყალგურთი

სათანადო მოთხოვნები

სსრკ-ის საბრძოლველად კლასიკის სპორტის ოსტატი — იყოს სსრკ-ის იმ ნაწილები გუნდის წევრი, რომელიც I-III ადგილს დაიკავებს ოლიმპიურ თამაშებში, მოსკოვში თუ ევროპის პირველობაში ან ევროპის 6 უძლიერესი გუნდის ასპარეზობაში.

ადგილი — გამოდიოდეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში.

სპორტის ოსტატი — თამაშობდეს გუნდში, რომელიც I-VI ადგილს დაიკავებს სსრკ-ის პირველობაში, „ა“ კლასის გუნდების საკავშირო ასპარეზობაში ან სსრკ-ის ხალხთა სპარტაკიადებში.

ადგილი — გუნდში, რომელიც ზედიზედ ორი წლის მანძილზე VII-IX ადგილზეა სსრკ-ის პირველობაში ან „ა“ კლასის გუნდების საკავშირო ასპარეზობაში.

ადგილი — იყოს სსრკ-ის თასის გათამაშების ფინალისტი გუნდის წევრი, ან

თამაშობდეს გუნდში, რომელიც I-III ადგილზეა ოლიმპიური იმედების „საერთაშორისო ასპარეზობაში“.

ადგილი — მოხდეს სსრკ-ის 21 უძლიერესი მოთამაშის რიცხვი სიების მიხედვით, რომელთაც ყოველწლიურად ამტკიცებს სსრკ-ის წყალბურთის ფედერაცია.

სპორტის ოსტატობის პანდი-დატი — გამოდიოდეს გუნდში, რომელიც VII-XVII ადგილზეა სსრკ-ის პირველობაში ან „ა“ კლასის გუნდების საკავშირო ასპარეზობაში.

ადგილი — გუნდში, რომელიც VII-XII ადგილს დაიკავებს სსრკ-ის ხალხთა სპარტაკიადებში.

ადგილი — თამაშობდეს კოლექტივში, რომელიც ერთი წლის მანძილზე სამ გამარჯვებას მოიპოვებს სპორტის ოსტატობა სხვადასხვა გუნდთან შეხვედრაში ან 6-ჯერ დაამარცხებს ოსტატობის კანდიდატთა გუნდებს არანაკლებ ქალაქის მასშტაბის კალენდარულ შეჯიბრებებში.

ადგილი — იყოს გუნდში, რომელიც I-IV ადგილზეა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის პირველობებში ან სპარტაკიადებში, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების საკავშირო პირველობებში იმ პირობით, თუ შემოსხენებულ შეჯიბრებებში გამოდის „ა“ კლასის 1-4 გუნდი, რომლებმაც სსრკ-ის წინა პირველობაში დაიკავეს არანაკლებ X ადგილი. ამას

გარდა, მოცემულ შეჯიბრებებში საპირისპირო ადგილების რაოდენობა შესაბამისად განისაზღვრება „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდების რიცხვის მიხედვით.

ადგილი — თამაშობდეს გუნდში, რომელიც I-III ადგილზე გავიდა სსრკ-ის იუნორთა (18-19 წელი) პირველობაში.

ადგილი — გამოდიოდეს გუნდში, რომელიც I ადგილზეა სსრკ-ის პირველობაში (16-17 წელი) პირველობაში.

I ტანრიზი — გამოდიოდეს სსრკ-ის პირველობაში, როგორც „ა“ კლასის გუნდის წევრი.

ადგილი — სსრკ-ის ხალხთა სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაში თამაშის მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების სახელით.

ადგილი — სსრკ-ის იუნორთა პირველობაში თამაშობდეს III-VI ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

ადგილი — სსრკ-ის პირველობაში თამაშობდეს II-III ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

ადგილი — გამოდიოდეს გუნდში, რომელიც ერთი წლის მანძილზე მოიპოვებს ოთხ გამარჯვებას I ტანრიზის სხვადასხვა კოლექტივთან ან ერთ ვა-

მარჯვებას I ტანრიზის გუნდთან და 7-ჯერ დაამარცხებს II ტანრიზის სხვადასხვა კოლექტივს იმ პირობით, თუ ამ პერიოდში მონაწილეობას მიიღებს არანაკლებ ქალაქის მასშტაბის 16 შეხვედრაში მანძილზე.

ადგილი — მოხდეს მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვის ან ლენინგრადის 21 უძლიერესი მოთამაშის რიცხვი სიების მიხედვით, რომელთაც ყოველწლიურად ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის წყალბურთის ფედერაციები.

II ტანრიზი — თამაშობდეს გუნდში, რომელიც წლის მანძილზე მოიპოვებს, სულ ოცჯერ, ოთხ გამარჯვებას II ტანრიზის სხვადასხვა კოლექტივთან ან 8-ჯერ დაამარცხებს III ტანრიზის სხვადასხვა გუნდს იმ პირობით, თუ ამ ხნის მანძილზე გამოვა ნებისმიერი მასშტაბის კალენდარული ასპარეზობის 14 შეხვედრაში მანძილზე.

ადგილი — სსრკ-ის პირველობაში თამაშობდეს, როგორც იუნორთა გუნდის წევრი.

ადგილი — გამოდიოდეს გუნდში, რომელიც I ადგილზეა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის პირველობებში.

III ტანრიზი — წლის მანძილზე მონაწილეობა მიიღოს 12 შეხვედრაში.

ადგილი — იყოს სსრკ-ის პირველობის პირველობაში მონაწილე გუნდის წევრი.

მოზარდთა I ტანრიზი — თამაშობდეს გუნდში, რომელიც II-III ადგილს დაიკავებს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის პირველობებში.

ადგილი — თამაშობდეს მოზარდთა საშუალო ან უფროსი ასაკის გუნდში, რომელიც ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებებში გამოდის და წლის მანძილზე სამ გამარჯვებას მოიპოვებს მოზარდთა I ტანრიზის სხვადასხვა გუნდთან ან 6-ჯერ დაამარცხებს მოზარდთა II ტანრიზის სხვადასხვა კოლექტივს.

მოზარდთა II ტანრიზი — წლის მანძილზე თამაშის 8 შეხვედრაში.

ტანრიზის დადასტურება — ტანრიზის დადასტურებისთვის საჭიროა შესრულდეს იგივე სათანადო მოთხოვნები, რაც ტანრიზის მისაღებად სრულდება.

სათანადო მოთხოვნათა შესრულების პირობები
1. ტანრიზის მიღებისთვის მოთხოვნილი მონაწილეობა უნდა მიიღოს მოცემული შეჯიბრების ყველა შეხვედრის 50 პროცენტში მანძილზე.
წყალბურთულ მატჩი ნათამაშევად ეთვლება, თუ მოედანზე დამყოფი წმინდა სათამაშო დროდნ 10 წუთს მანძილზე.

2. სპორტის ოსტატის წოდება და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ტანრიზი წყალბურთულ მატჩში ენიჭება, თუ შეჯიბრება 80x20 მ ფართობის მოედანზე ჩატარდა.
(ორივე-მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“, ნ. ზახაროვა, ზ. ჩერნიკოვა (ორივე — ლენინგრადის „სპარტაკი“), ლ. შვიციკოვა, ლ. კრესტინა-ანროვა (ორივე — სევეროკავკასიის „ურალმაში“), ლ. ბაზარევიჩი (მოსკოვის „სერბი მპოლტო“), უ. სემიონოვა (ჩიკის რტბ).
ვინ რა შანსებით იწყებს ტურნირს? პირველი ჯგუფის მთავარი ფავორიტია, რა თქმა უნდა, სსრკ-ის პირველი ნაკრები. აქ წარმატების მანსება აქვთ პოლონელებს და ნაწილობრივ — ფრანგებსაც. ლენინგრადის ჯგუფშიც შეიძლება პრეტენდენტობა სამეულის დასახელება. ექვნი არაბი ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის კოლექტივები.
მესამე, ზეგ ევროპის XII ჩემპიონატის სტარტია.



ფრიალზე დაგამთავრე მე-5 კლასი და ზაფხულს არაღივებებე ერისწყალს მივასწარე. ერისწყალი მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ენგურების მშენებლობის ძირითადი კვანძია. აქ გავიციანი და დავუშვებობარდი გ. და დ. გელიშვილებს, ჯ. ჯოლოზავას, გ. ხაინდრავას და მ. გელიშვილს. გადავწყვიტეთ ამ უზარმაზარ მშენებლობაში მცირე წვლილი ჩვენც შეგვეტანა და მშენებლებს ვეხმარებოდით წყალსაცავი აუზის აგებაში.

ავისიტოს მიწურულს განვიზრახეთ მოგვეწყობა ლაშქრობა ერთიანი მთაზე და საკუთარი თვალით გვეჩვენებინათ გამორჩეული ლაშქრობის წინააღმდეგ ტრენინგის სიხარულისგან თვალი არ მომიხუტავს. გათენდა თუ არა, ჯონით და ზურგჩანთით შეიარაღებულნი აღმართს შევედევით. ფერდობზე მოვხილი სოკოები თავისკენ გვიზიდავდნენ, მაგრამ ახლა მათთვის აღარ გვეცალა. სიარული თანდათან გვიძნელებოდა და გზას ნელ-ნელა მივყვიბოდი.

ზეგ მეთორმეტე სტარტია

ევროპის კალათბურთულ ქალთა ჩემპიონატი პირველად 1938 წელს გაიმართა. სსრკ-ის მანძილზე არ იყო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრი და, ცხადია, ტურნირში არ მონაწილეობდა. პირველი ჩემპიონის ტიტული იტალიის ეროვნულმა გუნდმა დაიმსახურა.

ძველი სამყაროს კალათბურთელთა ფორუმი მხოლოდ 12 წლის შემდეგ განასხდა და, აქედან მოყოლებული, სისტემატურად ტარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. 9-ჯერ უმაღლეს ტიტულს საბჭოთა კალათბურთელები ფლობდნენ — მათ მხოლოდ 1958 წელს დაუთმეს პირველობა ბულგარეთის ნაკრებს.

წლავანდელი ტურნირი, რომელიც 11 სექტემბერს იწყება პოლანდიაში, რიგობს მეთორმეტე, საბატიო ქალთა მსოფლიო მეტროლი 12 კოლექტივი ორ ჯგუფად დაყოფილი.

ჯგუფში, სადაც სსრკ-ის ნაკრები გამოდის, ისპარეზებენ, აგრეთვე, იტალიის, უნგრეთის, საფრანგეთის, პოლონეთისა და პოლონეთის სპორტსმენები. ამ ჯგუფის შეხვედრები რატარდამში მოეწყობა.

მეორე ჯგუფში გაერთიანებული არიან იტალიის, ბელგიის, რუმინეთის, ავსტრიის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. თამაშები ჩატარდება ლეიპციგში.

პირველ ორ ადგილზე გასული კოლექტივები ჯარდინი სისტემით გათამაშებენ ნახევარფინალს. დამარცხებულნი 18 სექტემბერს ბრინჯაოს მედალებისთვის იბრძობენ. ერთი დღის შემდეგ კი გაიმართება გადამწყვეტი მატჩი ჩემპიონის გამოსავლენად.

დანარჩენი კოლექტივების ასპარეზობაში განაწილება ყველა ადგილი მეტოქედან მეტოქემდე.

ვის დაევა სსრკ-ის ნაკრების ღირსების დაცვა, რომელსაც წვრთნის სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კოლბაკოვი? ტერიტორიულად ნაკრები ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვი — 5 კალათბურთელი, ლენინგრადი, სევეროკავკასია და მოსკოვის ოლქი — 2-2, რიგობს: საზოგადოებების მიხედვით: „დინამო“ — 4, „სპარტაკი“ — 4, „ურალმაში“ — 2, ტტ — 1, „სერბი მპოლტო“ — 1.

ახლა თვით ნაკრების წევრებზე, ანუ იმ 12 კალათბურთელზე, რომლებიც უკვე ნიდერლანდებში არიან და მოუთმენლად ელოდნ სტარტის სიგნალს. გუნდის შემადგენლობაში მოხვდნენ: გ. ვორონიჩა, ლ. ბუზნიკოვა, ტ. კაბაევა, ვ. დმიტრიევა (ყველა — მოსკოვის „დინამო“), ნ. ბოლბაიერი, ლ. გუსევა

მოსკოვი, 8 სექტემბერი. გუნდის შერეუტივობის აეროდრომზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი აუდიტორია შეხვდა ტურნირის დაბრუნებულ საბჭოთა სტუდენტ-სპორტსმენებს, რომლებიც მსოფლიო უნივერსიადამში მონაწილეობდნენ. აეროდრომში სტუდენტ-სპორტსმენებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს მოსკოველებმა. საკავშირო რადიოს კორესპონდენტი ესაუბრა კალათბურთელ ა. ჟარნუხაძეს და მძღოლსან ნ. ავილოვს. ავილოვმა, რომელმაც უნივერსიადამში ათბილდობა შორის ოქტოს მედალი მოიპოვა (7803 ქულა), განაცხადა, რომ ამ სახეობაში მონაწილეობა არ მიუღიათ ვადრის ძლიერ სპორტსმენებს და ამდენად მას შეუძლებელი იყო ბრძოლა გადახდა.

მამსე, უნივერსიადამის დამთავრდა ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ საბჭოთა სტუდენტებმა 59 მედალი მოიხვეჭეს, მათ შორის, 26 ოქტოს, 17 ვერცხლისა და 16 ბრინჯაოსი. არაოციკალურ ჩათვლაში 11 ადგილზეა აშშ-ს გუნდი (51 მედალი), 111 — გდრ-ის ნაკრები (15 მედალი, მათ შორის, 8 ოქტოსი).
აი, ზოგიერთი ცნობაც, რომლებიც ადრე ვერ მოგავლდით. 4x100 მეტრზე ესტაფეტაში მოსკოველებმა ლ. ჟარნუხამ, ლენინგრადელებმა მ. ნიკოფოროვამ, ტ. კონდრაშოვამ და ალმათელმა ლ. გოლოზოვამ I ადგილი უნივერსიადამის რეკორდით დაიკავეს — 44.7. ამავე სახეობაში საბჭოთა ეკვების თოსულობა (ა. კორნელევი, ვ. საპეია, ბ. იზმენსკივი და ვ. მალაქოვი) ბრინჯაო დაისაკუთრა — 39.4. აქ უძლიერესნი იყვნენ პოლონელები, ხოლო კუბელებმა 11 ადგილი დაიკავეს.

ასპარეზობენ მისანდძრეები

ამას წინათ თელავში გაიმართა შოსალისე სახანძრო რაზმეულების შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებით სპორტში. ასპარეზობის პროგრამაში იყო საიერიშო კობით მტორე სართულზე ასვლა, ცეცხლის ქრობა და საბრძოლო გაშლა.
სახანძრო-საბრძოლო მანქანებით შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ წინ-

ანდლის ლენინს ქარხნისა და საბჭოთა მეურნეობის, კისისხევისა და ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობების, ნაფარეულის ლენინს ქარხნისა და საბჭოთა მეურნეობის რაზმეულები.
I ადგილი დასაკუთრა წინანდლის ლენინს ქარხნის რაზმეულებმა, რომელთაც გადაეცა გარდაამავლი

თასი. II ადგილზე გავიდა ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობის გუნდი, ხოლო III — ნაფარეულის ლენინს ქარხნის კოლექტივი.
სახანძრო მოტოპომპებით ასპარეზობაში პირველობა არავის დაუთმო თელავის ძაფალეზ-საგარევი

ფაბრიკის რაზმეულებმა. II ადგილი დასაკუთრეს იყალთოს ლენინს ქარხნის წარმომადგენლებმა. III ადგილზე გავიდა ყარაჯის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი.
3. აურსიკაშვილი, თელავის სახანძრო ნაწილის უფროსის შიადგილი.

ვერცხლის მედალით ვერთო კრასნოდარელ ვ. პორისენკოს, მოსკოველ ა. ბრატჩიკოს, ლენინგრადელებმა ი. ზორინსა და ბ. საგუკს 4x400 მეტრზე ესტაფეტაში — 3.04.2. აქ უძლიერესნი იყო აშშ-ს კვარტეტი, რომელმაც დისტანცია უნივერსიადამის რეკორდით დაფარა — 3.03.3.
შუბის ტყორცნაში ყველას აჯობა პოლონელებმა დ. იავროსკამ — 56.16 მ. II ადგილზეა ხარკოველი გ. ვებრტი — 50 მ.

საქართველო

● ფორსტ-პილი (აშშ), 7 სექტემბერი. ამერიკის შერთებული შტატების ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე ღია ჩემპიონატში წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოველი თ. მოროზოვა. მეორე წრეში მან დაამარცხა ამერიკელი ჯ. ჯონსონი — 6:1, 6:3, მერე კი ნორს ალმათელ მ. კროშინასთან წყვილში სძლია მასპინძლებს — პ. რიზისა და ს. სტეის დუეტს. მეორე წრეში მარცხის სიმწარე იწვნია თბილისელმა ა. მერტრეველმა, იგი დამარცხდა ს. მითთან (აშშ) — 6:7, 4:6, 2:6.

● ვროსლავი, 7 სექტემბერი. სპილენძის მსოფლიო ჩემპიონის წოდება მესამედ მოიხვეჭა ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა ი. მოკემ. მან ამ წარმატებას გუშინ აქ გამართულ შეჯიბრებაში მიაღწია. ალვი-ლზბრეივი სტადიონის წილგან ბილიკზე უხვიოდ გამოვიდნენ საბჭოთა მატრიციკლისტები. მაგალითად, ვერობის ჩემპიონმა ვ. კლიმენტევიმ (თბილისი) პირველობის ფინალში მხოლოდ VI ადგილი დაიკავა. უარესი შედეგები აქვთ თბილისელ ვ. გორდევსა (XIII ადგილი) და უშუალ გ. კლიმენტევი (XIV).

● სანტ-პატარინსი (კანადა), 7 სექტემბერი. აკადემიურ ნიჩბოსნთა აქ გამართულ III მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალედ იასპარეზეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა: მათ მოიხვეჭეს ოქროს 8, ვერცხლის 3 მედლის კომპლექტი და საგაბრილოლო გაუსწრეს II ადგილზე გასულ გერმანს ნაკრებს. გუნდურ ჩათვლაში III ადგილზე არიან დანიელები. საბჭოთა ნიჩბოსნებმა მოკრძალებული შედეგებით იასპარეზეს: ვერცხლის მედალი მოიგო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწვლოსნო სპორტკლუბის რეიანმა, ხოლო ბრინჯაო — ლენინგრადის „დინამოს“ მესაქაინმა ორიანმა. სხვა საბჭოთა ეკიპაჟები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დანარჩენ ხუთ ფუნდურ გაცურებაში, პრიზიორთა მიღმა დარჩნენ.

აქტიური მოსახლეობის მუშაობა

● ფორსტ-პილი, 8 სექტემბერი. აშშ-ს ღია ჩემპიონატში მხოლოდ ორი საბჭოთა ჩოგბურთელი განაგრძობს ასპარეზობას: თ. მოროზოვა და მ. კროშინა. ქალთა წყვილების შეჯიბრების მეორე წრეში მათ დაამარცხეს კანადელი ჯ. ოსნარა და იაპონელი ტ. მარუკაძე — 7:5, 4:6, 6:4. მოროზოვამ ერთეულთა მერვედფინალში წააგო მსოფლიოს მესამე ჩოგბანთან ნ. რიჩისთან — 5:7, 6:2, 2:6.

● ლისაპონის „ბენფიკა“, რომელიც ევროპის ქვეყნების თანხების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამოსვლა მოულის, ახლა ხანგრძლივ საგაბრილოლო მოგზაურობაშია. დიდი ინტერესი გამოიწვია „ბენფიკისა“ და იაპონიის ნაკრების

● როსტოვი, 8 სექტემბერი. საბჭოთა მსაჯების ბრიგადამ მოსკოველი ი. ბოჩაროვის თავიანთობით აქ გღრის ფეხბურთელთა ნაკრების გამარჯვება (5:0, პირველი ტაიმის ანგარიში 1:0) აღნიშნა პოლონეთის უროვნულ გუნდთან შეხვედრაში.

● პარკუპა, 8 სექტემბერი. „მეგობრობის ტურნირის“ მეორე მატჩში სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა მარცხის სიმწარე იწვნია პოლონელ თანატოლთა მეორე ნაკრებთან — 1:2 (0:2) და პრაქტიკულად დაკარგა ფინალში თამაშის შანსი. „ა“ ჯგუფში 2 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბულგარელები, ხოლო „ბ“ ჯგუფში — პოლონეთის მეორე ნაკრების წარმომადგენლები.

● უსსაიოს 4 გურტი შეხვედრამ ტოკიოში, რომელსაც 60 ათასი მკურნებელი დაესწრა. ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს სტუმრებმა და ოთხივე ბურთი ელსებიომ გაატანა.

● ამრთაშორისო მძლეოსნურ კასტონდარში სიახლე გაჩნდა: 11-13 სექტემბერს პარიზში გაიმართება კონტინენტის I ჩემპიონატი იუნიორთა შორის. დღემდე ასეთი ტურნირები ფერობული თამაშების რანგით ტარდებოდა.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ახლახან ჩატარებულმა ახალგაზრდულმა და ჭაბუკთა პირველობებმა განსაკუთრებული წონა შეიძინეს. საზღვარგარეთ მძლეოსნობის მწვერვლები პარიზის დებიუტის წინ იმულებული გახდნენ ნაკრების დაკომპლექტების რთული ამოცანა გადაეწყვიტათ. საქმე ისაა, რომ იუნიორთა „საერთაშორისო ასაკი“ ერთი წლით განსხვავდება სსრ კავშირში მიღებულიასგან: ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არა უმეტეს 20 წლის ჭაბუკებსა და 19 წლის ქალი-მძლეოსნებს. საკავშირო შეჯიბრებაში ეს ასაკი შესაბამისად 21 და 20 წელს უდრის.

აი, რატომ იყო, რომ მწვერვლები ასე ყურადღებით აღვივებდნენ თავის ახალგაზრდულ სტარტებს ორიოლში. ჩემპიონთა ნაწილი ამ პირველობაში მედლებთან ერთად საფრანგეთის საზღვარგარეთ მიიღებდა. მათ შორის, ვინც ყურადღება მიიქცია, უნდა დაეასახელოთ დონეცკელი ვ. პოდლუჟნი, რომელმაც კინადამ გააუქმა ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი სიგრძეზე ტტოში. ეს მიღწევა აგერ უკვე 15 წელია ი. ტერ-ოგანესიანს ეკუთვნის. პოდლუჟნი 773 სანტიმეტრზე გადახტა.

ჩელიაბინსკელმა სტუდენტმა, 18 წლის ს. კორბოვმა ამ სეზონში უკვე რამდენიმეჯერ გააუქმებია საკავშირო რეკორდი ურს ტყორცნაში. ახლა მისი მიღწევა 66,96 მეტრს უდრის. ასე ურს კორბოვის თანატოლებიდან მსოფლიოში კიდ არავის უტყორცნია ურს. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ჭაბუკი ჭიდაობაზე ოცნებობდა და მიაღწია კიდევ პირველ წარმატებებს სალიაზზე. ერთხელ ბადროს ტყორცნით გატაცებულმა მისმა დამ — ოლგამ სერიოზულ სტადიონზე მიიყვანა. სერიოზულ პირველი პირადი რეკორდის სულ 26 მეტრი იყო. ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორეკურსელი სტუდენტი, მომავალი ინჟინერი, უკვე ჩამოყალიბებული ათლეტია. სსრ კავშირის ურს მტყორცნელთა ნაკრების მწვერვლის მ. კრივონოსოვის ასურით, შეიძლება პირველმა სწორედ კორბოვმა გადალახოს 80-მეტრიანი ზღვარი...

ქვეყნის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოსკოვში გაიმართა. როცა იუნიორთა შედეგების საერთო დონეზე გლაპარაკობთ, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. მოსკოვში

პინ მონპლან ნაკრებში?

ნაკრებში იყო მხოლოდ 19 ოსტატისა და 58 ოსტატობის კანდიდატის შედეგი. ეს ძალიან ცოტაა, თუ 1972 წლის ოლიმპიადისთვის მზადების გემებს გავითვალისწინებთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წლებგანდელი პირველობის ბევრი მონაწილე 2 წლის შემდეგ შეიძლება ოლიმპიელი გახდეს. როცა ვთხოვე ვერობის თასის ამასწინანდელი ნახევარფინალური ასპარეზობის შედეგებზე გამოეთქვა აზრი, სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვერვლმა ნ. პოპოვმა მითხრა: საბჭოთა ათლეტებმა უოცნებოდ ტრადიციულად „მოსაგებ“ სახეობაში მარცხი იმტომ იწვნის, რომ ნაკრებს სრულფასოვანი რეზერვი არ ჰყავსო. ლაპარაკია სტაბილურ დისტანციებზე, ბადროსა და შუბის ტყორცნაზე, ვაჟთა თარჯინებზე, სპრინტზე, შუბის მტყორცნაზე და მსხობელ ქალებზე.

და მაინც, ახალგაზრდულმა ჩემპიონატმა მძლეოსნობისთვის ბევრი ახალი სახელი აღმოჩინა.

გრძელი სპრინტის ოსტატის ყველა საუკეთესო მონაწილე აქვს ორჯონიძე-ძელ ს. კორჩეს. ეს 18 წლის ჭაბუკი, შორებმა ითქვას, ყველაზე პოპულარული იყო პირველობის მონაწილეთა შორის. კორჩე მზაბრული, სიციცხლით სავსე ყმაწვილია, მაგრამ სარბენ ბილიკზე მას ვეღარ იცნობთ: ბრძოლაში იგი უაღრესად დაკვირვებულ და შეუპოვარია. 4x400 მეტრზე ესტაფეტაში ბრძოლის დროს ორჯონიძეძელმა სპრინტსმენმა ფინიშის სწორზე სულ რამდენიმე მეტრი მოუგო მეტოქეს და ჯიჟის ნახტომებით პირველმა მიაღწია ფინიშს. მანამდე კორჩემა ჩემპიონის ტიტული მოიგო 400 მეტრზე — 47,3. თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი პირადი რეკორდი 200 მეტრზე ასევე მაღალია (21,2), ცნადი გახდება, რომ კორჩეი საუცხოო მორბენალია. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტს ჯერ კიდევ მოკლე სპორტული ბიოგრაფია აქვს. მძლეოსნობა მასაც უფროსმა დამ — რუსეთის ჩემპიონმა სპრინტში როზა კორჩემა შეაყვარა. სპორტის ოსტატი, კი იგი ამ ზაფხულს განდა, როცა დებიუტი ჰქონდა მემბნი ზნამუნკევიში მეზორიალში.

ნიჭიერი სპრინტერი ქვეყნის მეორე ჩემპიონიც, მინსკელი ა. ჟიდისი, რომელმაც 200 მეტრი წლებგანდელი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით გაიბრინა — 21,0. რბენაში ვარჯიში კი ყოველგვარ სულ 3 წლის წინ დაიწყო. მან მხოლოდ გასულ გაზაფხულზე ნახა პირველად მოწინავე ოსტატე-

ბი ვ. ბორსოვი, ვ. საპეია, მათთან ერთად ვარჯიშობდა და ბევრი რამ იწყებდა. ჟიდისი განსაკუთრებით დაუშვებობდა ბორსოვს, რომელმაც ბევრი საყურადღებო რჩევა-დარჩევა მისცა ახალბედას. შემთხვევითი როლია, რომ ჟიდისმა თავისი წარმანდელი შედეგი ერთბაშად ნახევარი წელით გააუშვებია. მინსკელი სტუდენტი მეცადინეობს პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატთან ვ. ალაბინთან, რომელმაც უკვე ბევრი შესანიშნავი ათლეტი მოამზადა. სხვათა შორის, ჩემპიონი გახდა ალაბინის კიდევ ერთი მოწაფე — 19 წლის ა. სპირნოვა, რომელმაც გაიმართა სიგრძეზე სტომაში. მანამდე, სსრ კავშირ — აშშ-ს გუნდების მატჩში ალამ ბევის სპეციალისტი გააოცა, როცა ყველა მეტოქეს აჯობა (626 სმ).

ბელორუსის ქალაქ ვიტბესკში ცხოვრობს კიდევ ერთი ჩემპიონი — ს. კორჩეი. ამ 19 წლის ჭაბუკს უკვე ბევრი გამარჯვება აქვს მოპოვებული. მაგალითად, შარშან კვირისთვის ზნამუნსკევის მემორიალში ყველაზე აჯობა 100 მეტრზე ასპარეზობაში.

ერთი სიტყვით, პარიზელი მკურნებელი საბჭოთა მძლეოსნობის ბევრ ამომავალ ვარსკვლავს ნახავს. ახლა სასწავლო-სამეცნიერო შეტრეზაზე თავმოყრილია მნ ათლეტი, რომელთაც ჩამოყალიბდება წლებგანდელი ნაკრები.

შემომართოვლილთა გარდა, გუნდის შემადგენლობაში ალბათ მოხვდება რამდენიმე ჭაბუკი, რომლებსაც სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ. ესაა, მაგალითად, სიმფეროპოლელი 17 წლის სპრინტსმენი, ქვეყნის რეკორდსმენი ი. კორჩეიკოვი, რომელსაც 5000 მეტრზე რბენაში დაახლოებით 14 წუთი აქვს ნაჩვენები. ესაა მოკრძალებული მსოფლიო ჭაბუკი ბ. იშმესტივი, რომელიც უძლიერეს სპრინტერთა გვერდით სულაც არ იწვევა. ესაა ცნობილი მწვერვლის ვ. ლონისკის ალსრდილი, სიმადლენე მსტომელი ვ. გოსი, რომელმაც ახლახან 214 სმ გადალახა. საუკეთესოთა შორის არის სპორტის ოსტატ შურეპოვიჩის დიდი მძლეოსნური ოჯახის დედეგატი ანდრეი — მსტომელი და მიაგალკიდელი, რომელიც იკვებო ცხოვრობს. წარმატების დიდი შანსი აქვს მოსკოველ შუბის მტყორცნელს ვ. რიტოვს, ირეკტაქელ ათლეტს ა. ბლინიაევს, რომელმაც 18 წლის ასაკში უკვე 7500 ქულა მოაგროვა.

ქალიშვილებიდან გუნდში შედის ცნობილი მორბენალი ლ. ჟარკოვა, იგი ერთადერთია წლებგანდელ ნაკრებში, რომელმაც 1968 წელს ლიბეციის ევროპულ თამაშებში მიიღო მონაწილეობა და სამგვისი ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. კარგი პერსპექტივები აქვს ახალგაზრდა ბადროს მტყორცნელს ი. საპრონოვას. მწვერვლები დიდ იმედებს ამყარებენ თარჯინებუნალ ლ. ჟესტოვაზე და 800 მეტრზე მორბენალ თ. ღერინაზე.


ი. მარაზოვი.



● წინადაც მათ ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამარჯვება იზიემეს: I ადგილი და ოქროს მედლები 100 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში. ამაზე მეტი სიხარული ვ. სოკოლოვისთვის და ვ. იარდისთვის წარმოუდგენელი იყო. ახალგაზრდა ველოსაბედისტებმა ორ თანაგუნდელთან ერთად საოცრად მტკიცე ხასიათი და ბრძოლის უნარი გამოავლინეს — მსოფლიოს უძლიერეს ველოსაბედისტებთან ჭიდილში დიდი და ხასხანელი გამარჯვება მოიპოვეს ლენტეხის (ინგლისი) ტრასაზე. სსრ კავშირის გუნდს გულწრფელად მიულოცეს წარმატება, ვინაიდან იგი აშკარა და დამაჯერებელი იყო.

მეორე დღეს კი ვ. იარდი ჩაუფუფრი რბოლის სტარტზე იდავ. გუშინდელი თანაგუნდლები ამჯერად მკურნებლების როლში იყვნენ და შორიდან ამხნივებდნენ მეგობარს.

სურათზე: ჩაუფუფრი რბოლის მონაწილენი დისტანციაზე. ვ. სოკოლოვი წყალს აწვდის ველოსაბედს „ამხედრებულ“ ამხანავს ვ. იარდის.



● ბაბაშინს კუნძულების მკვიდრი ნ. მილიერი თავდაპირველად კრივით იყო გატაცებული. სპეციალისტები მას თავიდანვე კარგ მომავალს უქადადნენ. მას შემდეგ კი, რაც ახალგაზრდა მოკრივემ თავისი ქვეყნის ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა, მათი რწმენა გაორკვედა.

მერე კი მონდა საოცარი გარდაქმნა. მილიერმა პაროფისა შეიცვალა და ტყავის ხელთათმანები დროებით კედელზე ჩამოკიდა. მისი ახალი გატაცების საგანი ველოსპორტი გახდა.

ბაბაშელი მოკრივე ლენტეხის მსოფლიო ჩემპიონატს თავის ახალ აპკულაში ეწვია და ბედი პაროფისთანაა რბოლაში სცადა, მაგრამ, როცა კარგ ჩემპიონატმა ცხადყო, არჩევანი ამჯერად არასწორი გამოდგა. მილიერმა წააგო გამოდევნებით რბოლა ავსტრალიელი ე. ლაურისთან, რომელმაც დაახლოებით III თანრიგის შედეგი აჩვენა.

ბაბაშელი მოკრივე ასპარეზობას დასაწყისშივე გამოეთიშა. შემდეგ მან ბედი გზატკეცილზე სცადა, მაგრამ იქაც მარცხის სიმწარე იწვნია: პირველივე წრის შემდეგ შეწყვიტა რბოლა.

ვინ იცის, ლენტეხის ჩემპიონატი მილიერი-ველოსაბედისტისთვის იქნებ ბოლო შეჯიბრებაც იყოს. კრივი მას მეტი სახელი და სიხარული ჰქონდა.

სურათზე: მილიერი გამოდევნებით რბოლის დროს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მწვერვლის, სპორტის ოსტატ ა. გუნის ფოტოსურათები.

კოსტე
კავშირი
რუსეთის
კავშირი
1953

● ზიზენი (გერ), 8 სექტემბერი. ჭარბაკში აქ მიმდინარე მსოფლიო ოლიმპიადის ნახევარფინალური შეჯიბრებების III ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა „მშრალი“ ანგარიშით მოუგო მონაკოს გუნდს — 4:0. ამ დღეს საბჭოთა ნაკრებში ითამაშეს სახსიმ, პოდლუგაევსკიმ, სმისლოვმა და ველერმა. ახლა ეს კოლექტივი 10 ქულით დაწინარდა პირველ შესარჩევ ჯგუფში. II ადგილზე არიან ავსტრალიელები — 8 ქულა და I გადაღებული პარტია. პოლონეთისა და ტუნისის გუნდებს 7,5-7,5 ქულა და 2-2 დაუმთავრებელი შეხვედრა აქვთ. სხვა ჯგუფებში იუგოსლავიელებმა სძლიეს ანდრის წარმომადგენლებს — 4:0, ასეთივე ანგარიშით ჩეხოსლოვაკიის გუნდმა დაამარცხა მალტელები. აშშ-ს გუნდი დაწინარდა ბრაზილიელებთან მატჩში — 2:0. ეს 2 ქულა გუნდს მოუტანეს ფიშერმა და რეშეკამ.

რედაქტორი მ. კაბაბაძე.